საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-718

30/08/2018

ქ. თბილისი

ქ. ახალციხეში შპს „საბპეტროლის“ ავტოგასამართი სადგურის საცავის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „საბპეტროლი“-ს მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ავტოგასამართი სადგურის საცავის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ საწარმოო ტერიტორია მდებარეობს ქ. ახალციხეში, დავით აღმაშენებლის ქუჩა №1-ში. ნაკვეთი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა. სადგური უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე დაშორებულია 120მ-ით, საგზაო მაგისტრალიდან 15 მ-ის დაშორებით.

ავტოგასამართი სადგური შედგება ერთი სვეტისა და საწვავის ორი მიწისქვეშა რეზერვუარისაგან. სადგური გათვალისწინებულია საავტომობილო ბენზინის და დიზელის საწვავის მიღება და საცალო რეალიზაციისათვის.

სადგურზე დაგეგმილია მიწისქვეშა სარკოფაგში დიზელის საწვავის ერთი 60 $მ^3$ მოცულობის რეზერვუარისა და ერთი $30მ^3$ მოცულობის ბენზინის რეზერვუარის განთავსება ერთი გასამართი სვეტით. რეზერვუარებზე მოეწყობა მიმღები და სასუნთქი მილები, ასევე სარქველები. საწვავის წლიური ბრუნვა ბენზინისათვის დაგეგმილია 1.5 მილიონი ლიტრი და დიზელის საწვავისათვის 3 მილიონი ლიტრი.

საწარმოში არ მოხდება ნიადაგის მავნე ნივთიერებებით დაბინძურება. ორგანიზებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-გატანა, ხანძარსაწინააღმდეგო და ავარიული სიტუაციების რეაგირება.

პროექტის განხორციელების შემთხვევაში კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელია, ვინაიდან საწარმოს მიმდებარედ დაგეგმილია ნავთობპროდუქტების საცავების მოწყობა, რაც დაკავშირებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევებთან.

საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი, ვინაიდან ავტოგასამართ სადგურზე არ რის გათვალისწინებული მაღალი ხმაურის დონის გამომწვევი დანადგარების განთავსება.

საწარმო საქმიანობისას ნავთობპროდუქტების ორთქლის ჯამური გაფრქვევები იქნება 2.1075 ტონა წელიწადში, მაქსიმალური გაფრქვევა 0.066 გ/წმ. მავნე ნივთიერებები (გოგირდწყალბადი და ნაჯერი ნახშირწყალბადები) გაიფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში.

საქმიანობა არა არის დაგეგმილი ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან. ვიზუალური შეფასებით ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.
ამასთან, აღსანიშნავია, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკრინინგის პროცედურას ექვემდებარება საცავების მოწყობა, რომელიც ავტოგასამართი სადგურების შემთხვევაში წარმოადგენს მხოლოდ საწვავის რეალიზაციასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ნაწილს. ავტოგასამართი სადგურების შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის განკუთვნილი საწვავის სამარაგო რეზერვუარები და შესაბამისად, მისგან წარმოქმნილი გაფრქვევები ძირითადად მცირე მოცულობისაა.

ამასთან, ისინი განთავსებულია მიწის ზედაპირის ქვეშ, რაც ერთის მხრივ ამცირებს მათზე გარემო ფაქტორების (მზის გამოსხივება, ტემპერატურა და ა. შ) უარყოფითი ზემოქმედების რისკს და მეორეს მხრივ, ზღუდავს გაფრქვევათა შორ მანძილებზე გავრცელების შესაძლებლობას. შედეგად გაფრქვევები ლოკალიზებულია ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე და იშვიათად სცილდება სადგურის განთავსების ტერიტორიის საზღვრებს. შესაბამისად ავტოგასამართი სადგურის მოწყობის სპეციფიკის, ასევე <u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების</u> <u>კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის, ამავე კოდექსის II</u> <u>დანართის 6.3 ქვეპუნქტის და ასევე „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ</u> <u>საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 №1620-რს) საქართველოს</u> <u>კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „საბპეტროლი“-ს მიერ წარმოდგენილი ავტოგასამართი სადგურის საცავის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „საბპეტროლი“ ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „საბპეტროლს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საბპეტროლი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ახალციხის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი